USAID
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ
ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐ
ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

# თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

## საინფორმაციო ბიულეტენი №53
## თებერვალი, 2024

თბილისი, 2024

**ხელმძღვანელი:**

ნანუკა ყრუაშვილი

**ავტორი:**

ნიკა ოდიკაძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

# შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №53 ბიულეტენს. მასში აღწერილია 2024 წლის თებერვალში განვითარებული მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

# 1. ახალი პრემიერ-მინისტრი და მთავრობა

### 1.1. კანდიდატის წარდგენა

1-ელ თებერვალს გამართულ ყრილობაზე „ქართულმა ოცნებამ" ირაკლი კობახიძე პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად ოფიციალურად წარადგინა.[1] ამავე ყრილობაზე ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება 29 იანვარს გააკეთა, პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ „ქართული ოცნების" თავმჯდომარედ აირჩია.[2]

### 1.2. საპარლამენტო კომიტეტებში მინისტრობის კანდიდატების მოსმენა

7 თებერვალს საგარეო ურთიერთობათა, ევროპასთან ინტეგრაციის, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხსა და სამთავრობო პროგრამაზე „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის" იმსჯელეს.[3] კომიტეტებმა სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატ ილია დარჩიაშვილს მოუსმინეს.[4]

სხდომაზე გიორგი ვაშაძემ და რამდენიმე სხვა ოპოზიციონერმა დეპუტატმა საგარეო საქმეთა მინისტრს შეკითხვა დაუსვეს უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ხმის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით.[5] ვაშაძის თქმით, 2012 წლის შემდეგ ქვეყანა 800 000-მდე საქართველოს მოქალაქემ დატოვა, ხოლო იმისთვის, რომ ამ ადამიანებმა ხმის მიცემა მოახერხონ, აუცილებელია რაც შეიძლება მეტი საარჩევნო უბნის გახსნა.[6] საზღვარგარეთ უბნების გახსნაზე პასუხისმგებელი საგარეო საქმეთა სამინისტრო და ცესკო არიან.[7] დეპუტატი დაინტერესდა, გაიხსნება თუ არა უბნები ისეთ ქალაქებში, სადაც საქართველოს ბევრი მოქალაქე ცხოვრობს, თუმცა იქ არ არის საქა-

---

[1] „ქართულმა ოცნებამ" პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი კობახიძე ოფიციალურად წარადგინა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2024 წლის 1-ლი თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/580165, განახლებულია: 13.03.2024.

[2] იქვე.

[3] „ერთობლივ საკომიტეტო სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატს მოუსმინეს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2024 წლის 7 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/581126, განახლებულია: 13.03.2024.

[4] იქვე.

[5] „კომიტეტების ერთობლივი სხდომა", საქართველოს პარლამენტის YouTube-გვერდი, 2024 წლის 7 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=R41yhUIk2fk&t=4937s, განახლებულია: 13.03.2024.

[6] იქვე.

[7] იქვე.

რთველოს საკონსულო.[8] ილია დარჩიაშვილმა საპასუხო გამოსვლაში ოპოზიციონერი დეპუტატების შეკითხვებს და მოსაზრებებს პოლიტიკური სპეკულაცია უწოდა და აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ საარჩევნო უბნები გაიხსნება „დადგენილი წესით“, როგორც ეს „აქამდე ხდებოდა“.[9]

### 1.3. პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცება

8 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა[10] დაამტკიცა, ხოლო ირაკლი კობახიძე პრემიერ-მინისტრად აირჩია.[11] მთავრობის 12 წევრიდან 11-მა მინისტრის სავარძელი შეინარჩუნა.[12] თანამდებობა დატოვა თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ.[13] მის ნაცვლად ეს პოზიცია „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ჩიქოვანმა დაიკავა.[14] სხდომაზე დამსწრე 105 დეპუტატიდან მთავრობის ახალ შემადგენლობას მხარი 84-მა დაუჭირა, 10-მა კი მის წინააღმდეგ მისცა ხმა.[15] მთავრობის ახალმა შემადგენლობამ მმართველი პარტიის ყველა დამსწრე დეპუტატის მხარდაჭერა მოიპოვა.[16]

### 1.4. პრემიერ-მინისტრის მიერ ვიცე-პრემიერების დანიშვნა

მთავრობის პირველი სხდომა 12 თებერვალს გაიმართა. სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პირველ ვიცე-პრემიერად ეკონომიკის მინისტრი ლევან დავითაშვილი დანიშნა.[17] ვიცე-პრემიერად დაინიშნა ასევე თავდაცვის ახალი მინისტრი ირაკლი ჩიქოვანი.[18] ვიცე-პრემიერის თანამდებობა შეინარჩუნა კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა.[19] კობახიძემ მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსად მიხეილ ფეიქრიშვილი დანიშნა, რომელმაც ამ პოსტზე ნინო გიორგობიანი შეცვალა.[20]

---

[8] იქვე.

[9] „კომიტეტების ერთობლივი სხდომა“, საქართველოს პარლამენტის YouTube-გვერდი, 2024 წლის 7 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=ixveVCBSUvc, განახლებულია: 13.03.2024.

[10] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი და პირველი ვიცე-პრემიერი – ლევან დავითაშვილი; საგარეო საქმეთა მინისტრი – ილია დარჩიაშვილი; თავდაცვის მინისტრი – ირაკლი ჩიქოვანი; შინაგან საქმეთა მინისტრი – ვახტანგ გომელაური; ფინანსთა მინისტრი – ლაშა ხუციშვილი; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – ირაკლი ქარსელაძე; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი – ოთარ შამუგია; სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში – თეა ახვლედიანი; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – ზურაბ აზარაშვილი; განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი – გიორგი ამილახვარი; იუსტიციის მინისტრი – რატი ბრეგაძე; კულტურისა და სპორტის მინისტრი – თეა წულუკიანი.

[11] „პარლამენტმა პრემიერ-მინისტრი და მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/581602, განახლებულია: 13.03.2024.

[12] იქვე.

[13] იქვე.

[14] იქვე.

[15] მათ შორის იყვნენ: არმაზ ახვლედიანი (უფრაქციო), ლევან ბეჟაშვილი („ნაციონალური მოძრაობა“), თინათინ ბოკუჩავა („ნაციონალური მოძრაობა“), გიორგი ვაშაძე („სტრატეგია აღმაშენებელი“), დავით კირკიტაძე („ნაციონალური მოძრაობა“), ანა წითლიძე („ნაციონალური მოძრაობა“), დევი ჭანკოტაძე („ნაციონალური მოძრაობა“), ლევან ხაბეიშვილი („ნაციონალური მოძრაობა“), დავით ხაჯიშვილი („ნაციონალური მოძრაობა“) და თეიმურაზ ჯანაშია („ნაციონალური მოძრაობა“). იხ. „კენჭისყრის შედეგები“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/voting-results/sessions/27204, განახლებულია: 13.03.2024.

[16] იქვე.

[17] „ახალმა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე ვიცე-პრემიერები დანიშნა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 12 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/581980, განახლებულია: 13.03.2024.

[18] იქვე.

[19] იქვე.

[20] იქვე.

# 2. საქართველოს პრეზიდენტის როლი ევროინტეგრაციის პროცესში

## 2.1. პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება

6 თებერვალს სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის რანგში ბოლო ყოველწლიური მოხსენებით წარდგა პარლამენტის წინაშე.[21] მან არაერთი აქტუალური საკითხი მიმოიხილა, მათ შორის, შეეხო: ქართული დემოკრატიის წინაშე არსებული გამოწვევებს, რუსეთის ჰიბრიდულ ომს, საქართველოს რეგიონების ოკუპაციას, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს და ამ გზაზე ქართული საზოგადოების მობილიზების მნიშვნელობას.[22]

ზურაბიშვილმა ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების დასრულების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.[23] მისი თქმით, ამგვარი დამოკიდებულება საზოგადოებაში ნიჰილიზმის გაღვივებას უწყობს ხელს.[24]

პრეზიდენტმა მოქალაქეებს 2024 წლის ოქტომბერში გასამართ საპარლამენტო არჩევნებში აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდა.[25] ზურაბიშვილის თქმით, მაშინ, როდესაც „ქვეყნის მომავალი დღეს წყდება“, ამ მომავლის შექმნაში მონაწილეობაზე უარის თქმა „დანაშაულია“.[26] სალომე ზურაბიშვილის თქმით, საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს არანაკლებ ევალებათ ქვეყნის მომავლის შექმნაში მონაწილეობა და მათ უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებები, რათა დროულად გაიაროთ საკონსულო რეგისტრაცია და უმოკლეს ვადებში შეძლონ ახალი საარჩევნო უბნების გახსნის მოთხოვნა.[27] პრეზიდენტმა საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდა, სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად, არჩევნების დღეების გაზრდა მოითხოვონ.[28] ზურაბიშვილი ემიგრანტებს დაჰპირდა, რომ ის პირადად იქნება მათი საარჩევნო უფლებების დამცველი.[29]

პრეზიდენტის თქმით, 2024 წლის ოქტომბერში გასამართი საპარლამენტო არჩევნები „არ იქნება ჩვეულებრივი არჩევნები“, სადაც მოქალაქეები აირჩევენ რომელიმე პარტიას მეორის ნაცვლად და არჩევანს გააკეთებენ ამა თუ იმ საარჩევნო პროგრამასა თუ ლიდერს შორის, არამედ ეს არჩევნები იქნება ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელი.[30] პრეზიდენტმა ამომრჩევლებს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ „მმართველობის ახალ მოდელს, ახალ ეკონომიკას და ახალ ევროპულ სახელმწიფოს“.[31]

ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლისას, პრეზიდენტი ერთობლივი პლატფორმის შექმნის ინიციატივით გამოვიდა.[32] მან პოლიტიკური სპექტრისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ამ ინიციატივაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია.[33]

პრეზიდენტის გამოსვლის დასრულების შემდეგ პარტია „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით უსუფაშვილმა სალომე ზურაბიშვილს მიმართა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზ-

---

[21] „სალომე ზურაბიშვილის ბოლო მოხსენება პრეზიდენტის რანგში“, „რადიო თავისუფლების“ YouTube-გვერდი, 2024 წლის 6 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=UWTnHm5U678&t=1454s, განახლებულია: 13.03.2024.

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] იქვე.

[25] იქვე.

[26] იქვე.

[27] იქვე.

[28] იქვე.

[29] იქვე.

[30] იქვე.

[31] იქვე.

[32] იქვე.

[33] იქვე.

რუნველყოფისკენ მოუწოდა.[34] უსუფაშვილის შეფასებით, საარჩევნო ხმების დაცულობის შესახებ მოქალაქეების რწმენას არსებითი მნიშვნელობა ექნება, პრეზიდენტს კი საზოგადოებაში არსებული ნიჰილიზმის დასაძლევად მნიშვნელოვანი როლის შესრულება მოუწევს.[35]

ირაკლი კობახიძის შეფასებით, პრეზიდენტის გამოსვლამ რეალურად დაადასტურა ის გეგმები, რაზეც მმართველი პარტიის წარმომადგენლები საუბრობდნენ.[36] კობახიძის თქმით, პრეზიდენტი „ფსევდო შუაშისტური“ პოლიტიკური ძალის შექმნას გეგმავს. ამ მიზნით, ის სექტემბერში გადადგება და არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.[37] კობახიძე მიიჩნევს, რომ ერთადერთი, ვისაც კითხვებზე პასუხი აქვს გასაცემი, თავად სალომე ზურაბიშვილია, რომელიც გამოირჩევა „კონსტიტუციის დარღვევით“, „სახელმწიფოებრიობის“ და ქვეყნის „ევროპული ინტეგრაციის წინააღმდეგ“ მოქმედებით.[38]

„ქართული ოცნების“ დეპუტატ მამუკა მდინარაძის შეფასებით, პრეზიდენტის გამოსვლა „რიგითი რადიკალური ოპოზიციონერის“ გამოსვლას ჰგავდა, რადგან ვრცელ მოხსენებაში მას არც ერთი სიტყვა არ უთქვამს ქვეყნის წარმატებაზე.[39]

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა თინა ბოკუჩავამ პრეზიდენტის გზავნილებს, მის ძველ გამოსვლებთან შედარებით, გაბედული, მკაფიო და გულწრფელი უწოდა.[40] დეპუტატის თქმით, ერთპიროვნული და ერთპარტიული მმართველობიდან ქვეყანა უნდა გადავიდეს ევროპული, კოალიციური მმართველობის მოდელზე, რისთვისაც ხელისუფლების ცვლილება აუცილებელია.[41]

პარტია „ლელოს“ წარმომადგენლის, სალომე სამადაშვილის თქმით, მომავალი არჩევნების მნიშვნელობასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ხედვა სრულიად ემთხვევა „ლელოს“ ხედვას.[42] დეპუტატის მოსაზრებით, საქართველოს ყველა მოქალაქისთვის საყურადღებო უნდა იყოს პრეზიდენტის გზავნილები ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქიული რეჟიმის, კორუფციის, რუსული კავშირებისა და ევროინტეგრაციის პროცესის შეფერხების თაობაზე.[43]

### 2.2. პრეზიდენტის მიერ ერთობის პლატფორმის ფარგლებში გამართული შეხვედრები

„საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 6 თებერვალს პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლისას ინიციირებული „ერთობის პლატფორმა ევროპისთვის“ ფარგლებში პირველი შეხვედრა 7 თებერვალს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან გამართა.[44] პრეზიდენტი ორბელიანების სასახლეში შეხვდა პარტია „ლელოს“ ლიდერებს - მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს. ასევე, შეხვედრები გაიმართა ფრაქცია „რეფორმების ჯგუფის“ წევრ თეონა აქუბარდიასთან, „გირჩი – მეტი თავისუფლებისა“ და „დროას“ ალიანსის ლიდერებთან - ზურაბ ჯაფარიძესა და გიგა ლემონჯავასთან.[45]

---

[34] „პარლამენტის პლენარული სხდომა“, საქართველოს პარლამენტის YouTube-გვერდი, 2024 წლის 6 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=-aiB9c7IFRk&t=3030s, განახლებულია: 13.03.2024.
[35] იქვე.
[36] „პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიურ გამოსვლას პოლიტიკოსები აფასებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 7 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/580951, განახლებულია: 13.03.2024.
[37] იქვე.
[38] იქვე.
[39] იქვე.
[40] იქვე.
[41] იქვე.
[42] იქვე.
[43] იქვე.
[44] იქვე.
[45] „ერთობის პლატფორმა ევროპისთვის“ ფარგლებში პრეზიდენტმა პირველი შეხვედრა ოპოზიციასთან გამართა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 7 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/581145, განახლებულია: 13.03.2024.

8 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა „ევრო-ოპტიმისტების“ ლიდერ რომან გოცირიძეს და „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერ ზვიად ძიძიგურს უმასპინძლა.[46] 9 თებერვალს კი ის მთავარი ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ ლიდერ ნიკა მელიას და პარტია „მოქალაქეების“ წევრებს - ალეკო ელისაშვილს და ქეთევან ტურაზაშვილს შეხვდა.[47] პრეზიდენტმა შეხვედრები გამართა ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.[48]

შეხვედრის შემდეგ ნიკა მელიამ იმედი გამოთქვა, რომ ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილი შეძლებს საერთო ენის გამონახვას. მან აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ხედვები, მაგალითად, სასამართლოში არსებულ გამოწვევებსა და კორუფციასთან ბრძოლასთან დაკავშირებით ემთხვევა მის ხედვას. მელიამ ასევე განაცხადა, რომ ის მონაწილეობას მიიღებს ყველა პროცესში, რომელიც ემსახურება და მიზნად ისახავს „სახელმწიფოს ჩამოყალიბებას“.[49]

ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ პრეზიდენტის პლატფორმაში გაწევრიანებას არ აპირებს. პარტიის წარმომადგენელმა მიხეილ დაუშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის პლატფორმას ის ადამიანები უერთდებიან, „რომლებისთვისაც ქვეყნის ევროინტეგრაცია გადის მიშა სააკაშვილის გათავისუფლებაზე, შეწყალებასა ან რაღაც ასეთ ფორმაზე“. მისი თქმით, ეს პარტიისთვის მიუღებელია.[50]

## 3. პარლამენტმა ცესკოს დაკომპლექტების წესთან დაკავშირებული ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო

20 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით (81 ხმით) მიიღო საარჩევნო კოდექსში ცვლილებები. შედეგად, შეიცვალა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და პროფესიული ნიშნით წევრების არჩევის პროცედურა,[51] ასევე, გაუქმდა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, რომელიც ოპოზიციის წარმომადგენლისთვის იყო განკუთვნილი.[52]

ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული საკანონმდებლო რეგულირებით, ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატებს წარმომადგენლობით ორგანოს პარლამენტის თავმჯდომარე წარუდგენს.[53] იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი პირველ ჯერზე ვერ შეძლებს 90 დეპუტატის მხარდაჭერის მოგროვებას, განმეორებით კენჭისყრაზე მას ორჯერ ექნება შანსი, 76 დეპუტატის მხარდაჭერა მოიპოვოს და 5 წლის ვადით დაიკავოს თანამდებობა.[54] თუ პარლამენტში ვერც 76 ხმა მოგროვდება, საკითხი გადასაწყვეტად პრეზიდენტს გადაეცემა,[55] თუმცა ერთპარტიული უმრავლესობის პირობებში პროცესის ამგვარად განვითარების ალბათობა მინიმალურია.

---

[46] „ერთობის პლატფორმა ევროპისთვის“ ფარგლებში პრეზიდენტთან შეხვედრები გრძელდება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 9 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/581749, განახლებულია: 13.03.2024.

[47] იქვე.

[48] იქვე.

[49] იქვე.

[50] იქვე.

[51] „პარლამენტმა ცესკოს ფორმირების წესთან დაკავშირებული ცვლილებები მიიღო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 20 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/583487, განახლებულია: 13.03.2024.

[52] იქვე.

[53] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის $221^1$-ე მუხლი.

[54] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლის მე-7 ნაწილი.

[55] იქვე, მე-6 ნაწილი.

# 4. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო სადამკვირვებლო მისის ჩამოსვლა

19-25 თებერვალს საქართველოში NDI-ის წინასაარჩევნო სადამკვირვებლო მისია იმყოფებოდა.[56] ეს დელეგაცია[57] 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე დაგეგმილი ორი წინასაარჩევნო მისიიდან პირველია. ორგანიზაცია კიდევ ერთ დელეგაციას არჩევნების დღემდე ცოტა ხნით ადრე გამოგზავნის.[58] ხუთი დღის განმავლობაში მისიის წევრები შეხვდნენ ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორის, მედიისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს.[59]

NDI-ის დელეგაციამ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები გამოაქვეყნა.[60]

ანგარიშში წარმოდგენილია საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც გადაჭრას საჭიროებს. მათ შორისაა: პოლარიზაცია, სამოქალაქო საზოგადოების (მათ შორის, სადამკვირვებლო ორგანიზაციების) წინააღმდეგ მიმართული სიტყვიერი თავდასხმები, პოლიტიკური სარგებლის მიღების მიზნით ადმინისტრაციული რესურსების არაკეთილსინდისიერად გამოყენების შესახებ არსებული ეჭვები და ახალი საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული კითხვები.[61] ანგარიშის მიხედვით, საპარლამენტო არჩევნებამდე რვა, ხოლო წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ექვსი თვით ადრე დადებითი ტენდენციები შეინიშნება მოსახლეობის მხრიდან დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერის კუთხით. გარდა ამისა, დადებითად შეფასდა პოლიციის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება,[62] ასევე, გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით სამთავრობო დადგენილებების გასაჯაროების პრაქტიკის განახლება და არჩევნების დღის პროცესების გაუმჯობესების მიზნით ინოვაციების დანერგვა.[63]

NDI-ის სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, საარჩევნო კოდექსში შეტანილი ბოლო ცვლილებები არ შეესაბამება ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. დელეგაციის წარმომადგენელთა მოსაზრებით, 2024 წლის 20 თებერვალს ცესკოს დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით განხორციელებულმა ცვლილებებმა შეიძლება კიდევ უფრო შეამციროს ნდობა ცესკოს მიმართ,[64] რაც ასევე ხელის შემშლელი ფაქტორი იქნება გადაწყვეტი-

---

[56] „NDI-ის სადამკვირვებლო დელეგაცია 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის შემუშავებულ რეკომენდაციებს აქვეყნებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 25 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/789151-ndi-is-sadamkvirveblo-delegacia-26-oktombris-saparlamento-archevnebistvis-shemushavebul-rekomendaciebs-akveqnebs/, განახლებულია: 13.03.2024.

[57] დელეგაციის წევრები იყვნენ: ან ლინდე, შვედეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი; პერ ეკლუნდი, ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი საქართველოში; მაიკლ პოზნერი, სახელმწიფო დეპარტამენტში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიუროში სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე; დენიელ გოტფრიდი, სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის კაბინეტის საკანონმდებლო და პოლიტიკის ანალიტიკოსი; ევა ბუშა, NDI ევრაზიის რეგიონული დირექტორი; რიჩარდ კლაინი, NDI არჩევნების პროგრამების გლობალური დირექტორი.

[58] „NDI-ის სადამკვირვებლო დელეგაცია 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის შემუშავებულ რეკომენდაციებს აქვეყნებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 25 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/789151-ndi-is-sadamkvirveblo-delegacia-26-oktombris-saparlamento-archevnebistvis-shemushavebul-rekomendaciebs-akveqnebs/, განახლებულია: 13.03.2024.

[59] იქვე.

[60] იქვე.

[61] იქვე.

[62] იქვე.

[63] იქვე.

[64] „საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები არ შეესაბამება ეუთოს რეკომენდაციებს - NDI-ის მისია“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 25 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/365kmbft, განახლებულია: 13.03.2024.

ლების მიღების პროცესში პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის თვალსაზრისით.[65]

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ყოფილი ხელმძღვანელის, პერ ეკლუნდის შეფასებით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ პირველი არჩევნები იქნება. შესაბამისად, საქართველოს მთავრობასა და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა ეძლევა, დაამტკიცოს ერთგულება ინკლუზიური, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული არჩევნებისა და დემოკრატიული ფასეულობების მიმართ.[66]

დელეგაციის წევრმა და NDI ევრაზიის რეგიონულმა დირექტორმა ევა ბუშამ აღნიშნა, რომ 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე საკმარისი დროა იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს არჩევნებისთვის ხელსაყრელი გარემო, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე.[67]

NDI და სხვა საერთაშორისო დამკვირვებლები მთელ წინასაარჩევნო პერიოდს დააკვირდებიან.[68] არჩევნების დასრულების შემდეგ NDI სრულფასოვან ანგარიშს წარადგენს წინასაარჩევნო პერიოდთან, არჩევნების დღესა და მის შემდგომ პროცესებთან დაკავშირებით (როგორიცაა საარჩევნო დავების გადაწყვეტა).[69]

## 5. ევროკავშირის ელჩის მოწოდება ხელისუფლებისადმი საკანონმდებლო პროცესში არასამთავრობოების მაქსიმალურ ჩართვასთან დაკავშირებით

ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ 15 თებერვალს მარნეულში ვიზიტის დროს, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ახალგაზრდებს და სამოქალაქო აქტივისტებს შეხვდა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა საკანონმდებლო და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში „უაღრესად მნიშვნელოვანია“ და ამის უზრუნველყოფა მთავრობის პასუხისმგებლობაა.[70] მან ასევე ისაუბრა მომდევნო კვირაში ბრიუსელში დაგეგმილ პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ვიზიტზე და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო და ევროკავშირი შეთანხმდებიან, თუ რა უნდა გაკეთდეს, რათა „ძალიან სწრაფად გადავიდეთ შემდეგ, გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების ეტაპზე“.[71] ჰერჩინსკის თქმით, გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად საჭიროა, რომ ამ საკითხზე ეროვნული ერთობა იყოს მიღწეული, მთავრობამ ინკლუზიური მიდგომა გამოავლინოს, ხოლო ოპოზიციამ - კონსტრუქციული.[72] ამ კონტექსტში, ევროკავშირის ელჩმა აღნიშნა, რომ სწორედ საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, იპოვოს გზა, რომელიც უზრუნველყოფს არასა-

---

[65] იქვე.

[66] „NDI-ის სადამკვირვებლო დელეგაცია 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის შემუშავებულ რეკომენდაციებს აქვეყნებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 25 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/789151-ndi-is-sadamkvirveblo-delegacia-26-oktombris-saparlamento-archevnebistvis-shemushavebul-rekomendaciebs-akveqnebs/, განახლებულია: 13.03.2024.

[67] იქვე.

[68] „NDI-ის არჩევნების პროგრამების დირექტორი - გამოვაგზავნით კიდევ ერთ წინასაარჩევნო დელეგაციას არჩევნების დღემდე ცოტა ხნით ადრე“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 25 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/789154-ndi-is-archevnebis-programebis-direktori-gamovagzavnit-kidev-ertcinasaachevno-delegacias-archevnebis-dgemde-cota-xnit-adre/, განახლებულია: 13.03.2024.

[69] იქვე.

[70] „პაველ ჰერჩინსკი ხელისუფლებას საკანონმდებლო პროცესში არასამთავრობოების მაქსიმალური ჩართვისკენ მოუწოდებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/582661, განახლებულია: 13.03.2024.

[71] იქვე.

[72] იქვე.

მთავრობო ორგანიზაციების მაქსიმალურ ჩართულობას, მიუხედავად იმისა, ისინი პლატფორმის წევრები არიან თუ არა.[73]

## 6. პარტია „გირჩის“ საკანონმდებლო ინიციატივა

საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის - „გირჩის“ ინიციატივით, უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება, რომლის შედეგად, საზღვარგარეთ მცხოვრები პირები ამომრჩევლად რეგისტრაციას მისამართის მითითების გარეშე შეძლებენ.[74] ინიციატივის მიხედვით, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების რეგისტრაციისას მხოლოდ საცხოვრებელი ქალაქის მითითება იქნება სავალდებულო.[75] პარტიის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ამ პროექტის გაზიარების შემთხვევაში, საზღვარგარეთ მყოფი ახალგაზრდა მამაკაცები, რომლებიც ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ, შეძლებენ, რომ ამომრჩევლად მისამართის მითითების გარეშე დარეგისტრირდნენ, რაც არჩევნებში ხმის მიმცემი პირების რაოდენობას გაზრდის.[76] პარტიის განმარტებით, ახალგაზრდები არჩევნებისთვის საელჩოში წინასწარ რეგისტრაციას თავს არიდებენ, რათა საკუთარი საცხოვრებელი მისამართის მითითება არ მოუწიოთ და იძულებულნი არ გახდნენ, სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოსახდელად საქართველოში დაბრუნდნენ.[77]

დღეს მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების მიხედვით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში, სხვა მონაცემებთან ერთად, ამომრჩევლის მისამართიც მიეთითება.[78]

## 7. არასამთავრობო ორგანიზაციების ხედვა 9 პრიორიტეტის შესრულებასთან დაკავშირებით

27 თებერვალს 12 საზოგადოებრივი ორგანიზაციის კოალიციამ შეიმუშავა დეტალური ხედვა ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 9 ნაბიჯის ეფექტიან შესრულებასთან დაკავშირებით.[79] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ხედვა ეყრდნობა ევროკომისიის, ევროკავშირის საბჭოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებსა და რეკომენდაციებს, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევებსა და ანგარიშებს.[80]

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით, 2024 წლის არჩევნებისთვის თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია არაერთი საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის: წინასაარჩევნო პერიოდში მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის მკვეთრი ზღვრის გავლება; ადმინისტრაციული რესურსების მმართველი პარტიის სასარგებლოდ გამოყენების გამორიცხვა; ამომრჩეველთა დაშინების/მუქარის, მოსყიდვისა და მათზე ზეწოლის პრაქტიკაზე უარის თქმა; მოქალაქეთა ნების თავი-

---

[73] იქვე.

[74] „პოლიტიკური ჯგუფი „გირჩი“ გამოდის ინიციატივით, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები პირები ამომრჩევლად მისამართის მითითების გარეშე დარეგისტრირდნენ“, საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 16 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/politikuri-jgufi-girchi-gamodis-iniciativit-rom-sazghvargaret-mckhovrebi-pirebi-amomrchevlad-misamartis-mititebis-gareshe-daregistrirdnen/, განახლებულია: 13.03.2024.

[75] იქვე.

[76] იქვე.

[77] იქვე.

[78] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის „გ” ნაწილი.

[79] „როგორ უნდა შესრულდეს 9 ნაბიჯი ევროკავშირში გაწევრების მოლაპარაკების დასაწყებად” , საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 27 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/rogor-unda-shesruldes-9-nabiji-evrokavshirshi-gatsevrebis-molaparakebis-dasatsyebad?fbclid=IwAR0YrFR51FFuEhJdWzG0uj8DbwAXPJh2VERrSdORJZqvQWgWnlk2iCgSvCQ#sthash.HvgUKYUr.8Y33jWO9.dpbs, განახლებულია: 13.03.2024.

[80] იქვე.

სუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა და კონტროლის მექანიზმების გამორიცხვა; ასევე, ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის 2023 წლის 18 დეკემბრის ერთობლივი რეკომენდაციის გათვალისწინება ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევასთან დაკავშირებით.